

დანართი #1 - ფინანსური გირავნობის საგნის აღწერა

20 წლის მხარეთა შორის გაფორმებული # ფინანსური გირავნობის ხელშეკრულების დანართი

ქ. თბილისი, საქართველო

[წელი] წლის [რიცხვი, თვე]

1. ფინანსური გირავნობის საგნის აღწერა	
1.1. ფინანსური გირავნობის საგანი:	<p>ა) დამგირავებლის კუთვნილი ყველა ის მოთხოვნის უფლება, რომელიც გამომდინარეობს დამგირავებელსა და ნებისმიერ მესამე პირს შორის არსებული იმ სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომლის უზრუნველყოფის საგანი, იმავდროულად წარმოადგენს ან მომავალში იქნება ბანკის უზრუნველყოფის საგანი ან/და იმყოფება/იქნება ბანკის ფაქტობრივ მფლობელობაში ბანკსა და დამგირავებელს შორის მოძრავი ნივთ(ებ)ის შენახვასთან დაკავშირებით გაფორმებული ან/და მომავალში გაფორმებული შესაბამისი შეფასების და ძვირფასეულობის ჩაბარების აქტ(ებ)ის შესაბამისად;</p> <p>ბ) დამგირავებლის მომავალში წარმოშობილი ის მოთხოვნის უფლებები, რომელიც გამომდინარეობს დამგირავებელსა და ნებისმიერ მესამე პირს შორის არსებული იმ სამართლებრივი ურთიერთობიდან, რომლის უზრუნველყოფის საგანი იმავდროულად წარმოადგენს ან მომავალში იქნება ბანკის უზრუნველყოფის საგანი ან/და იმყოფება/იქნება ბანკის ფაქტობრივ მფლობელობაში;</p>
1.2. ფინანსური გირავნობის საგნის ღირებულების განსაზღვრის წესი:	ღირებულების განსაზღვრა განხორციელდება ბანკში დადგენილი წესის და პროცედურების შესაბამისად.
1.3. ფინანსური გირავნობის საგანთან დაკავშირებული დამატებითი პირობები:	<p>ა) დამგირავებელი ვალდებულია ფინანსური გირავნობის საგნის უზრუნველყოფაში არსებული ნივთები (მათ შორის ოქრო ან/და სხვა ძვირფასეულობა) შესანახად განათავსოს ბანკში.</p> <p>ბ) დამგირავებელი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს ბანკში შესანახად წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ნივთების გამოთავისუფლება, თუ მოვალის მხრიდან სრულად იქნება დაფარული ფინანსური გირავნობის საგნის შემადგენელი შესაბამისი მოთხოვნის მოცულობა.</p> <p>გ) ფინანსური გირავნობის საგანი მხარეთა შესაძლებელია დაზუსტდეს ფინანსური გირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ან/და მხარეთა შორის წერილობით შეთანხმებული სხვა წესით.</p>

2. წინამდებარე დოკუმენტი, მასში შესული ცვლილებ(ებ)ისა და დამატებ(ებ)ის ჩათვლით წარმოადგენს ფინანსური გირავნობის ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს და მასზე სრულად ვრცელდება ფინანსური გირავნობის ხელშეკრულების მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის მოქმედება.

3. დანართის თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს.

4. მხარეთა ხელმოწერები	
ბანკი	დამგირავებელი
-----	-----